# ქალაქ თბილისის საკრებულო

## დადგენილება № 16

„ 28 “ თებერვალი 2007 წ

**საქართველოს სამხედრო გზის, ახმეტელისა და ლუბლიანას ქუჩებს შორის დადგენილ საზღვრებში 20.5 ჰა ფართობზე დიღმის ტყე-პარკის განვითარებისა და აღდგენის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ**

1. საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ'' საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ბ'' ქვეპუნქტისა და $9^1$ მუხლის მე-2 პუნქტის „ზ'' ქვეპუნქტის შესაბამისად ქ. თბილისის საკრებულომ დაადგინა დაევალოს ქ. თბილისის მთავრობას:

ა) დიღმის ტყე-პარკში დადგენილ საზღვრებში 20.5 ჰა ფართობზე მწვანე საფარის შესანარჩუნებლად და აღსადგენად ლანდშაფტის გეგმის შემუშავება და ამ მიზნით „დენდრო პროექტის'' მომზადება;

ბ) საირიგაციო და სანიაღვრე სისტემის გეგმის შემუშავება და მოწყობა.

2. დადგენილება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №1ა).

საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილი